საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ქ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 26.12.2022

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი - №115/22

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ქ. ჩ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ქ. ჩ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2022 წლის 26 დეკემბერს საჩივრით მომართა ქ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ქ. ჩ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორმა 2023 წლის 13 ივნის მონაწილეობა მიიღო განხილვის კოლეგიის სხდომაში. მომჩივანს პრეტენზია აქვს, თავის ყოფილ ადვოკატთან, ქ. ჩ.-სთან. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატის დახმარება დასჭირდა შპს „ქ.-ა. უ.-ის“ წინააღმდეგ არსებულ დავაში, რისთვისაც ის 2022 წლის 19 თებერვალს, დაუკავშირდა გ. ბ.-ს და სთხოვა დახმარება. გ. ბ.

დათანხმდა შემოთავაზებას და მომსახურების პირობების გაცნობისას საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ მის ინტერესებს სასამართლოში მასთან ერთად ადვოკატი - ქ. ჩ. დაიცავდა.

1.3 გ. ბ.-მ, როგორც თავისი, ასევე ქ. ჩ.-ის, მომსახურების სანაცვლოდ მოითხოვა 1 000 – 1 000 ლარის გადახდა. საჩივრის ავტორის განმარტებით ისინი შეთანხმდნენ, რომ მას ადვოკატისთვის სარჩელის შედგენისა და საქალაქო სასამართლოში დავის წამოწყებისთვის უნდა გადაეხადა ჰონორარის ნაწილი (1 000 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა, საქალაქო სასამართლოში წარმომადგენლობის გაწევისა და საქმის დასრულების შემდეგ გადაეცა მისთვის. მომჩივანის განმარტებით, მან მომსახურების სრული თანხა, 800 აშშ დოლარი, ადვოკატს ერთიანად გადაუხადა, რაშიც დამატებით საჩუქრის ფორმით გადაცემული 400 ლარიც შევიდა. (ჯამში 800 აშშ დოლარმა, მიმდინარე კურსით, შეადგინა 2 400 ლარი).

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან თავიდანვე აუხსნა გ. ბ.-ს, რომ საქმის დროულად განხილვას მისთვის პრიორიტეტული მნიშნელობა ჰქონდა, რადგან უნივერსიტეტში სასწავლო სემესტრი მალე იწყებოდა და არ სურდა სწავლას ჩამორჩენილიყო, ან გასაჩივრების ვადები გაეშვათ. მიუხედავად ამისა, ადვოკატთან გაუგებრობა ურთიერთობის პირველივე ეტაპზე წარმოიშვა. შეთანხმების შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში მას არავინ დაკავშირებია, რის შემდეგაც საჩივრის ავტორი თავად შეეხმიანა ქ. ჩ.-ს და შეიტყო, რომ საქმეზე მუშაობა ადვოკატს არ ჰქონდათ დაწყებული. ამის შემდეგ მომჩივანმა მოითხოვა საქმის შეწყვეტა და თანხის უკან დაბრუნება, რის შემდეგაც ადვოკატმა, გ. ბ.-სთან ერთად ნაჩქარევად შეადგინა სარჩელი, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება და მიმართა სასამართლოს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული, ის შეიცავდა მხოლოდ მეცნიერთა მოსაზრებებს - „დემაგოგიას“ და არ იყო აღწერილი რეალური ფაქტები, რაც იმის შედეგი იყო, რომ როგორც ადვოკატ ქ. ჩ.-ს, ასევე გ. ბ.-ს მასთან არ ჰქონდათ სათანადო კომუნიკაცია. საბოლოოდ, სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო სარჩელი და უარი განაცხადა უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ადვოკატმა სათანადოდ ვერ შეადგინა განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მან თავად ჩამოაყალიბა შუამდგომლობის შინაარსი, ხოლო ქ. ჩ.-მა ყოველგვარი შესწორებისა და სამართლებრივი დამუშავების გარეშე ხელმეორედ პირდაპირ შეიტანა ის სასამართლოში.

1.7 მომჩივანის პრეტენზიით, ადვოკატი საქმეს გულგრილად ეკიდებოდა და არ ჰქონდა მასთან სათანადო კომუნიკაცია, რაც საბოლოოდ საქმის წარმოებისას დაშვებულ შეცდომებში აისახა. კერძოდ, მომჩივანის განმარტებით, ის ადვოკატს ელექტრონული ფოსტის საშუალებით დეტალურად აწვდიდა მის ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტს, რომლებიც საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იყო, თუმცა ის შეტყობინებებს არც კი ხსნიდა, სანამ მომჩივანმა საყვედური არ გამოთქვა და თანამშრომლობის შეწყვეტა არ მოითხოვა. ამასთან, ადვოკატმა ქ. ჩ.-მა მომჩივანის გაუფრთხილებლად გააუქმა „მესენჯერი“, მაშინ, როდესაც, მხარეები „მესენჯერს“, ძირითადი კომუნიკაციის საშუალებად იყენებდნენ, ხოლო “whatsapp” - ის საშუალებით 2-3 წუთიანი

კომუნიკაციისას, ქ. ჩ. მხოლოდ ისმენდა მომჩივანისა და გ. ბ.-ს საუბარს და თავად არ ერთვებოდა დიალოგში.

1.8 მომჩივანის განმარტებით, საქმის მიმართ გულგრილი დამოკიდებულებისა და არასათანადო კომუნიკაციის ფაქტს მიუთითებს ასევე ადვოკატის მიერ, საქმისთვის გამოუსადეგარი დოკუმენტის დართვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ქ. ჩ.-მა სარჩელს, ინგლისურენოვანი სამედიცინო ცნობა (რეცეპტი) დაურთო, რაც შესაგებელში მოპასუხე მხარემ უცხოური გაურკვეველი შინაარსის მქონე დოკუმენტად მიიჩნია. ადვოკატმა თავი იმით იმართლა, რომ დედანს თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება სჭირდებოდა, მაშინ, როდესაც მომჩივანს შეთავაზებული ჰქონდა დოკუმენტის სათანადო წესით თარგმნა, თუმცა ქ. ჩ.-მა ის საჭიროდ არ მიიჩნია.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმის მიმართ ადვოკატის გულგრილი დამოკიდებულების არსებობას უსვამს ხაზს ისიც, რომ ქ. ჩ. მიმდინარე საქმეს, როგორც პრაქტიკის მიღების საშუალებას ისე უყურებდა. საჩივრის ავტორი იხსენებს, რომ ქ. ჩ.-მა მასთან საუბრისას განაცხადა, რომ არაუშავდა, თუ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, რადგან გამოცდილებას მაინც მიიღებდა. ამასთან, მომჩივანის პრეტენზიით, ადვოკატმა ვერ უზრუნველჰყო მასსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშერულების მოპოვება, მაშინ როდესაც უნივერსიტეტიდან მისი მატერიალური სახით გამოთხოვა არ წარმოადგენდა სირთულეს. საბოლოოდ ადვოკატმა სარჩელი სასამართლოში, ქ. კ.-სა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების გარეშე შეიტანა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, თავდაპირველად ქ. ჩ.-მა, სარჩელით მოითხოვა მორალური ზიანის 25 000 ლარის ოდენობით ანაზღაურება, რაც არ ეყრდნობოდა რაიმე ობიექტურ მოცემულობას და მოთხოვნა არ იყო გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით, მაშინ, როდესაც საჩივრის ავტორის ახალმა ადვოკატმა, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით საქმეს დაურთო სამედიცინო ცნობა, სადაც პირდაპირ იყო მითითებული, რომ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ მომჩივანს დეპრესია დაეწყო და ანტიდეპრესანტებს იღებდა. ამასთან, მომჩივანის განმარტებით ქ. ჩ.-მა არ იცოდა, რა ოდენობის ბაჟი უნდა შეეტანათ სასამართლოში. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ადვოკატმა სასამართლოში გადასახდელი ბაჟის ოდენობა დაადგინა მან მომჩივანს ურჩია, რომ შეემცირებინათ მოთხოვნა, რადგან ერთის მხრივ ის არ იყო სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული და ამასთან ამით სასამართლოში შესატანი ბაჟის მოცულობაც შემცირდებოდა.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მოგვიანებით თავად აღმოაჩინა, რომ გ. ბ. არ იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრი - ადვოკატი. ქ. კ.-ის განმარტებით წარმომადგენლებისთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ მას სურდა საადვოკატო მომსახურება ლიცენზირებული და კვალიფიციური ადვოკატისგან მიეღო, თუმცა მიუხედავად ამისა, წარმომადგენლებმა დაუმალეს მომჩივანს, რომ გ. ბ. არ იყო ადვოკატი.

1.12 მომჩივანის განმარტებით, დაახლოებით მარტის თვის ბოლოს, მან შეწყვიტა გ. ბ.-სა და ადვოკატ ქ. ჩ.-სთან თანამშრომლობა, ერთ-ერთი მიზეზი კი იყო ის, რომ მას არ სურდა მდედრობითი სქესის

წარმომადგენლისგან მიეღო საადვოკატო მომსახურეობა. ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ქ. კ.-მ მოითხოვა მის მიერ გადაცემული 2 400 ლარიდან 1 400 ლარის დაბრუნება.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2023 წლის 16 იანვარსა და 12 ივნისს ადვოკატმა ქ. ჩ.-მა წარმოადგენდა წერილობითი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ქ. კ. თავდაპირველად დაუკავშირდა გ. ბ.-ს, რომელმაც თავად შესთავაზა, პოტენციურ კლიენტს სატელეფონო კომუნიკაცია, რათა უკეთ გარკვეულიყო საქმის არსში. მხარეებს შორის იმავე საღამოს "whatsapp" - ის საშუალებით შედგა კომუნიკაცია. გასაუბრებისა და საქმის არსის გარკვევის შემდეგ, გ. ბ.-მ ქ. კ.-ს დაუსახელა იურიდიული მომსახურების სავარაუდო ღირებულება - 2 000 – 2 500 ლარის ოდენობით, ასევე მან თავიდანვე განუმარტა მომჩივანს, რომ მის საქმეზე წარმომადგენლობას ქ. ჩ.-სთან ერთად განახორციელებდა.

2.3 მხარეები ზეპირსიტყვიერად შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების პირობებზე, რომლის მიხედვითაც გ. ბ.-სა და ქ. ჩ.-ს ევალებოდათ, საქმისთვის საჭირო მტკიცებულებების მოძიება, სარჩელისა და მასთან დაკავშირებული სხვა საპროცესო დოკუმენტაციის შედგენა და პირველ ინსტანციაში საქმის წარმოება. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ ქ. კ., იურიდიული მომსახურების თანხის ნაწილს, საქმის სასამართლოში აღძვრამდე გადაიხდიდა, ხოლო ნაწილს სარჩელის აღძვრის შემდეგ. ადვოკატი ადასტურებს, რომ ქ. კ.-მ, იურიდიული მომსახურების თანხა, 800 აშშ დოლარი (2 400 ლარი) ერთიანად გადაიხადა.

2.4 ადვოკატის განმარტებით მომჩივანი, მუდმივად გასაჩივრების ვადებზე მიუთითებდა და სასამართლოში სარჩელის სწრაფად შეტანას მოითხოვდა, რაზეც მათ განუმარტეს, რომ რამდენიმე დღეში არგუმენტირებული სარჩელის დაწერა ვერ მოხდებოდა, საჭირო იყო დოკუმენტაციის გაცნობა, საქმის მოკვლევა და საჭირო მტკიცებულებების მოძიება. თუმცა, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, ადვოკატმა სარჩელის შეტანამდე მოამზადა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ქ. კ.-ის საქმეზე წარმომადგენლობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მან და გ. ბ.-მ შპს „ქ.-ა. უ.-დან" გამოითხოვეს უამრავი დოკუმენტაცია, რომელთა საერთო მოცულობამ 162 გვერდს გადააჭარბა, რაც ასევე ადასტურებს იმას, რომ ისინი გულისყურით ეკიდებოდნენ საქმეს და სარჩელის დამუშავებას გონივრული დრო სჭირდებოდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება არ იყო სათანადოდ არგუმენტირებული, არის დაუსაბუთებელი, რადგან როგორც სარჩელი, ასევე განცხადება, გაჯერებული იყო უშუალოდ საქმესთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციით, ასევე იურიდიული დოქტრინითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით. ამასთან, ქ. კ. იცნობდა, როგორც განცხადებას, ასევე სარჩელს, გარკვეული იყო მათ შინაარსში და მხოლოდ მისი დადასტურების შემდეგ მოხდა მათი სასამართლოში შეტანა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, წარდგენილ სარჩელთან და განცხადებასთან დაკავშირებით მიიღო განჩინება საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე. საქმე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნა, სადაც ის სამჯერ გადანაწილდა და საბოლოოდ სასამართლომ, როგორც სარჩელი, ასევე განცხადება არ მიიღო წარმოებაში, რაც ადვოკატის განმარტებით გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ თითოეული მათგანი, თავდაპირველად ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო დასაბუთებით იყო შედგენილი. ამის შემდეგ მათ, ქ. კ.-სთან შეთანხმებით, ხელახლა დაამუშავეს საპროცესო დოკუმენტები და კლიენტის მიერ მათი მოწონებისა და დადასტურების შემდეგ, ხელმეორედ შეიტანეს ისინი სასამართლოში. სარჩელი საბოლოოდ წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო ის ფაქტი, რომ ქ. კ.-სა და მის ახალ ადვოკატს სარჩელი არ დაუზუსტებიათ და საქმეს იმავე სარჩელის საფუძველზე აგრძელებდნენ, გამორიცხავს მოსარჩელეს პრეტენზიებს, სარჩელის არაკვალიფიციურად შედგენასთან დაკავშირებით.

2.8 ადვოკატი დაუსაბუთებლად მიიჩნევს მომჩივანის პრეტენზიას, სათანადო კომუნიკაციის არარსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ მას ქ. კ.-სთან პირველი დღიდან ჰქონდა კონტაქტი და ინტენსიურ რეჟიმში აზუსტებდა მცირე მნიშვნელობის მქონე დეტალებსაც კი, შესაბამისად მომჩივანის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი კომუნიკაციის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში არავინ შეხმიანებია, ადვოკატს საქმე არ განუხილავს და მის მიერ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოწოდებული ინფორმაცია არ გაუხსნია, წარმოადგენს სიცრუეს.

2.9 მომჩივანის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლითაც ის ითხოვს გადახდილი ჰონორარის (2 400 ლარი) ნაწილის 1 400 ლარის დაბრუნებას, ადვოკატმა განმარტა, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო, სირთულითა და მოცულობით, სრულად შეესაბამება მიღებულ ჰონორარს, თუმცა მან ასევე გაითვალისწინა საპროცესო კოლეგიის მიერ დადგენილი ფაქტი, მის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის აღებასთან დაკავშირებით და მიმდინარე წლის 12 ივნისს, ქ. კ.-ს გადაურიცხა 100 აშშ დოლარი. ამასთან, ადვოკატი გამორიცხავს მხარეთა შორის იმგვარ შეთანხმებას, რომელიც დაადგენდა თუ რომელი მომსახურეობისთის ჰონორარის რა ნაწილი იყო გათვალისწინებული.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის პირველი მარტის გადაწყვეტილებით, ეთიკის კომიისიის მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ, მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ქ. ჩ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ქ. ჩ.-ს წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება. მან აიღო მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით გათვალისწინებული ჰონორარის სრული ოდენობა, თუმცა არ გაუწია კლიენტს შეთანხმების შესაბამისად გათვალისწინებული მომსახურება. დისციპლინური საქმის წარმოების ეტაპზე, ქ. ჩ.-ს მიღებული ჰონორარის ნაწილი არ ჰქონდა დაბრუნებული, შესაბამისად საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა ქ. ჩ.-მა კლიენტისთვის

გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობით, დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი და აღნიშნულ ნაწილში აღძრა დისციპლინური დევნა.

3.3 საპროცესო კოლეგიამ, არ აღძრა დისციპლინური დევნა, მომჩივანის იმ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელებიც ეხებოდნენ, საქმის მასალების გადაცემის გაჭიანურებას, კვალიფიციური მომსახურეობის გაწევის, გულისმიერებისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევას. ამასთან, საპროცესო კოლეგიამ, მომჩივანის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც გ. ბ.-ს მიემართებოდა, განმარტა, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, გ. ბ. არ იყო სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასცოციაციის“ წევრი - ადვოკატი. მასზე არ ვრცელდებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული სტანდარტები და ეთიკის კომისია არ იყო უფლებამოსილი, განეხილა გ. ბ.-ს მიერ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების შესაძლო დარღვევის საკითხი.

II სამოტივაციო ნაწილი:

4 საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1.1 ქ. ჩ. და ქ. კ. 2022 წლის თებერვალს ზეპირსიტყვიერად შეთანხმდენენ საადვოკატო მომსახურეობაზე.

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. ეთიკის კომისიის 2023 წლის 17 თებერვლისა და 2023 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმები;
3. საქმეში წარმოდგენილი მხარეთა შორის არსებული მიმოწერის ამსახველი ფოტო მასალები.

4.1.2 შეთანხმების შესაბამისად ქ. ჩ.-ს ევალებოდა, საქმისთვის საჭირო მტკიცებულებების მოძიება, სარჩელისა და მასთან დაკავშირებული სხვა საპროცესო დოკუმენტაციის შედგენა და პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოებაში, კლიენტის წარმომადგენლობა.

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. ეთიკის კომისიის 2023 წლის 17 თებერვლისა და 2023 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმები;
3. საქმეში წარმოდგენილი მხარეთა შორის არსებული მიმოწერის ამსახველი ფოტო მასალები.

4.1.3 ადვოკატმა 2022 წლის 21 თებერვალს კლიენტისგან მიიღო 800 აშშ დოლარი (2 400 ლარი) საიდანაც 400 ლარი, კლიენტმა საჩუქრის, ხოლო დარჩენილი თანხა, ჰონორარი სახით გადასცა ქ. ჩ.-ს.

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები;

2. ეთიკის კომისიის 2023 წლის 17 თებერვლისა და 2023 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმები;

3. ფულადი თანხის მიღება-ჩაბარების აქტი (21/02/2022).

4.1.4 ადვოკატმა ქ. ჩ.-მა, შეადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ განსხაილველი სარჩელი. ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ, სარჩელის განსჯად სასამართლოსთვის გადაგზავნის შემდეგ, ადვოკატმა შეადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მიერ განსახილველი სარჩელი. თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადება, ხოლო მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებული განჩინება, გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები;

2. ეთიკის კომისიის 2023 წლის 17 თებერვლისა და 2023 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმები;

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება N--;

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება N---;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება N---;

4.1.5 ადვოკატ ქ. ჩ.-ს, კლიენტის ინტერესები რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არ წარმოუდგენია.

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები;

2. ეთიკის კომისიის 2023 წლის 17 თებერვლისა და 2023 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმები;

4.1.6 ადვოკატმა, ქ. ჩ.-მა, ქ. კ.-ს 2023 წლის 12 ივნისს გადაურიცხა 100 აშშ დოლარი.

1. თანხის გადარიცხვის ქვითარი (12/06/2023).

4.2 სადავო ფაქტები

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის განსხვავებული პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ სადავოდ მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.2.1 მხარეთა შორის სადავოა, საადვოკატო მომსახურეობისა და გადასახდელი ჰონორარის ურთიერთმიმართება. მომჩივანის განმარტებით, მას ადვოკატისთვის სარჩელის შედგენისა და საქალაქო სასამართლოში დავის წამოწყებისთვის უნდა გადაეხადა ჰონორარის ნაწილი (1 000 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა, საქალაქო სასამართლოში წარმომადგენლობის გაწევისა და საქმის დასრულების შემდეგ გადაეცა მისთვის. თავის მხრივ, ადვოკატმა უარყო მხარეებს შორის შეთანხმება მისაღები ჰონორარის მსგავსი ფორმით გადანაწილებაზე.

„გარემოება დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებებს.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2022 წლის 07 ივლის მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე Nას-521-22). შესაბამისად მაშინ, როდესაც მხარეთა შორის არსებობს სადავო ფაქტები, მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება სადავო ფაქტის დადგენითვის არსებითი მნიშვნელობისაა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე... ხოლო, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან...“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N ას-521-22).

„მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრობითობის პრინციპის სრულად რეალიზების პირობებში... საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძელზე აკმაყოფილეებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.“ (საქართველოს უზეაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N ას-521-22).

შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც ადვოკატის მხრიდან პროფესიული ქცევის წესის დარღვევას უთითებს. მტკიცების ტვირთის აღნიშნული გადანაწილება, პირთა კეთილსინდისიერების პრეზუმციიდან მომდინარეობს, რაც იმას გულისხმობს, რომ „კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული გარემოებების მტკიცების ტვირთი, საკანონმდებლო წესრიგიდან არსებული გადახრის მამტკიცებელ პირს ეკისრება“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/183-11). შესაბამისად, საჩივრის ავტორს, ქ. კ.-ს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიისთვის მიეთითებინა ის ფაქტები და წარედგინა ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მასსა და ქ. ჩ.-ს შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ადვოკატს ჰონორარის ნაწილი საქმის საქალაქო სასამართლოში შეტანამდე, ხოლო ნაწილი სასამართლო წარმოების დასრულების შემდეგ უნდა მიეღო.

განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

თავის მხრივ, საჩივრის ავტორს გარდა საკუთარი ახსნა განმარტებისა არ წარმოუდგენია რაიმე ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ მითითებული ფაქტის სისწორეს. მხარეები საადვოკატო მომსახურეობის შესახებ წერილობითი ფორმით არ შეთანხმებულან (იხილეთ პარაგრაფი 4.1.1), რაც მისცემდა კოლეგიას შესაძლებლობას შეეფასებინა და გამოერკვია, მხარეთა ნება, სადავო საკითხთან დაკავშირებით. ადვოკატმა უარყო გასაწევი მომსახურეობისა და მისაღები ჰონორარის მსგავსი ფორმით განაწილების ფაქტი და ამის პარალელურად საქმეში

წარმოდგენილია თანხის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც ირკვევა, რომ ადვოკატმა მისაღები ჰონორარი, კლიენტისგან სრული ოდენობით აიღო.

შესაბამისად, ვინაიდან ერთის მხრივ საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შესრულება, დაემტკიცებინა მის მიერ მითითებული ფაქტი, ხოლო მეორეს მხრივ, მოპასუხე ადვოკატი ეწინააღმდეგება მომჩივანის პრეტენზიას და საქმეში წარმოდგენილია მისაღები ჰონორარის სრულად გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. კ. და ქ. ჩ., არ შეთანხმებულან თანხის, შესასრულებელ სამუშოსთან მიმართებით გადახთასთან დაკავშირებით. მხარეებმა განსაზღვრეს საადვოკატო მომსახურეობის შინაარსი და გადასახდელი ჰონორარი, თუმცა არა მათი ურთიერთმიმართება.

5 შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ ადვოკატ ქ. ჩ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6 სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ქ. ჩ.-ის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

> ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი).

6.2 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტ-ადვოკატის შეთანხმება ეფუძნება ურთიერთმფარავი ნების გამოვლენას და წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებას, სადაც მხარეები ნების ავტონომიით სარგებლობენ და ხელშეკრულების ფასსა და პირობებს თავად განსაზღვრავენ. ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის გასამრჯელოს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში და რომელსაც ადვოკატი გამოიმუშავებს შეთანხმებული მომსახურების შესრულებისას.

6.3 თუ ადვოკატი მომსახურების გაწევამდე წინასწარ იღებს ჰონორარის, მოცემული ფულადი სახსრები წარმოადგენს კლიენტის ფულად სახსრებს, ავანსს. ადვოკატის პროფესიული ეთიკის დაცვისათვის, ჰონორართან დაკაშირებით, კლიენტთან ურთიერთობის დაწყებისას ადვოკატს აქვს კლიენტის ინფორმირების ვალდებულება მხოლოდ ჰონორარის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, რაც კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას მოიცავს ადვოკატის ცოდნას შესრულებული

სამუშაოს მიხედვით, ავანსის წინასწარ მიღებისას, რა ოდენობის თანხა გამოიმუშავა. ადვოკატს აქვს ვალდებულება მომსახურების შეწყვეტიდან გონივრულ დროში მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია გამომუშავებული ჰონორარის ოდენობისა და არსებული ფინანსური საკითხების შესახებ. ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატის უფლებამოსილებაა თავად განსაზღვროს ავანსის რა ნაწილი გამოიმუშავა, რაც უნდა ემყარებოდეს შეთანხმებიდან გამომდინარე გონივრულ დასაბუთებას.

6.4 ეთიკის კომისია, ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებელობიდან გამომდინარე მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს საადვოკატო ხელშეკრულების ფასი, პირობები და მათი ურთიერთმიმართება. ამ კუთხით ეთიკის კომისიის უფლებამოსილება შემოიფარგლება, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც ადვოკატს ეკისრება ვალდებულება კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი - წინასწარ გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელიც საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, საადვოკატო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად განუხორციელებლობის შემთხვევაში წარმოიშობა. აქვე უნდა ითქვას, რომ დასაბრუნებელი თანხის რაოდენობას თავად ადვოკატი განსაზღრავს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ადვოკატის მხრიდან ფორმალური ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, რაც კლიენტისთვის შეუსაბამოდ მცირე ოდენობის თანხის დაბრუნებაში გამოიხატება. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის.

6.5 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი).

6.6 ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული შეთანხმების შედეგად გადახდილი ჰონორარი არ მიიჩნევა რელევანტურად და სამართლიანად გამომუშავებულად, იმ შემთხვევაში თუ ადვოკატის მიერ არ ან ვერ იქნება განხორციელებული საადვოკატო მომსახურება ან სამართლებრივი კონსულტაცია იმ ფარგლებში, რასაც ხელშეკრულება ან ზეპირი შეთანხმება ითვალისწინებდა. ბუნებრივია, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად და სამართლებრივი მომსახურება უნდა გაწიოს სრულად, კვალიფიკაციურად და მაღალი პროფესიონალური უნარ ჩვევებით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეწყდება კლიენტის მოთხოვნით, ადვოკატს უფლება აქვს პროპორციულად მიიღოს გაწეული სამუშაოს შესაბამისი თანხა. კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ინდივიდუალურად ყურადღებას მიაქცევს რა ოდენობის ჰონორარი აქვს მიღებული ადვოკატს და რა საქმიანობა განახორციელა მან.

6.7 ქ. კ.-ის საჩივართან დაკავშირებით განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ მხარეებმა საადვოკატო მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულება ზეპირსიტყვიერად დადეს (იხილეთ პარაგრაფი 4.11),

ხოლო შეთანხმების შესაბამისად ქ. ჩ.-ს ევალებოდა, საქმისთვის საჭირო მტკიცებულებების მოძიება, სარჩელისა და მასთან დაკავშირებული სხვა საპროცესო დოკუმენტაციის შედგენა და პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოებაში კლიენტის წარმომადგენლობა (იხილეთ პარაგრაფი 4.12). ადვოკატმა 2022 წლის 21 თებერვალს კლიენტისგან მიიღო 800 აშშ დოლარი (2 400 ლარი) საიდანაც 400 ლარი, კლიენტმა კეთილი ნების საფუძველზე საჩუქრის, ხოლო დარჩენილი თანხა ჰონორარის სახით გადასცა ქ. ჩ.-ს (პარაგრაფი 4.13). თავის მხრივ, ადვოკატმა ქ. კ.-მ, კლიენტის სასამართლოში წარმომადგენლობის გარდა, შეასრულა ყველა მასზე დაკისრებული მოვალეობა (იხილეთ პარაგრაფი 4.14; 4.1.5), ხოლო 2023 წლის 12 ივნისს, მიღებული ჰონორარიდან, რომელიც წარმოადგენს 800 აშშ დოლარისთვის გამოკლებულ 400 ლარს, ქ. კ.-ს გადაურიცხა 100 აშშ დოლარი და განმარტა, რომ ყოფილ კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი დაუბრუნა.

6.8 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ვინაიდან დისციპლინური წარმოების დროს არ დადგინდა მხარეთა შორის შეთანხმების ფაქტი, თუ საადვოკატო ხელშეკრულებით გასაწევი რომელი მომსახურეობისთვის, ჰონორარის რა ნაწილი იყო გათვალისწინებული (იხილეთ პარაგრაფი 4.2.1), ის მოკლებულია შესაძლებლობას თავად შეამოწმოს საადვოკატო ხელშეკრულების ფასი, პირობები და მათი ურთიერთმიმართება. განხილვის კოლეგიამ ამის პარალელურად შეაფასა დაბრუნებული ჰონორარის პროპორციულობა, გასაწევ მომსახურეობასთან მიმართებით და მიიჩნევს, რომ ქ. ჩ.-ის მიერ დატოვებული ჰონორარი, გაწეული მომსახურეობის, ხოლო დაბრუნებული ჰონორარი, დარჩენილი მომსახურეობის პროპორციულია. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ადგენს, რომ 100 აშშ დოლარის დაბრუნებით, ქ. ჩ.-მა კლიენტს დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი.

6.9 რაც შეეხება მომჩივანის პრეტენზიას, რომლითაც ის ითხოვს ეთიკის კომისიამ დაავალოს ადვოკატ ქ. ჩ.-ს, ერთის მხრივ ნაჩუქარი თანხის, ხოლო მეორეს მხრივ მიღებული ჰონორარის უკან დაბრუნება, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია განიხილავს ადვოკატის ქცევის შესაბამისობას ადვოკატის პროფესიულ ეთიკის ნორმებთან და ის მოკლებულია შესაძლებლობას დაავალოს ადვოკატს თანხის დაბრუნება. აღნიშნული საერთო სასამართლოების უწყების მიმართ დაქვემდებარებული საკითხია და სცდება ეთიკის კომისიის უფლებამოსილების ფარგლებს.

6.10 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-5 მუხლის მე-7 ნაწილით, მე-16, მე-17, 33-ე, 35-ე მუხლებით მე-40 მულის მე-2 ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N115/22 ადვოკატ ქ. ჩ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოთ მხარეებს.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/